შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№46 (9.711)

12-19 დეკემბერი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

მოდი, ვნახოთ ყანა...

ფიროსმანის სახლ-მუზეუმს რესტავრაცია ჩაუტარდება

გვ.2

მუზეუმის აღდგენას გლობალური დატვირთვა ექნება და გარდა აღდგენისა, ამავე ტერიტორიაზე დამთვალიერებლისთვის კეთილმოწყობილი გარემო შეიქმნება. ამასთან ერთად კი, ეტაპობრივი მუშაობა ფიროსმანის ტილოების რესტავრაციაზეც დაიწყება.

ზეგანაკვეთური შრომა საქართველოში



ხანძრის მიზეზი ცნობილია

ქართული სამართლის პარადოქსები

რა შეღავათებს ითვალისწინებს მთის კანონი

ზოგადი წესის თანახმად, დასახლებას მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ენიჭება მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შეტანის ფორმით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

ნოდარ ხადური:-„მომავალი წლის 1 სექტემბრიდან, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პენსიონერების პენსია 216 ლარი იქნება. მისი განმარტებით, მომავალი წლის ბიუჯეტი მთლიანად ადამიანის ჯანმრთელობასა და სოციალური პრობლემების მოგვარებაზე იქნება ორინეტირებული. საქართველოს პრემიერ-მინისტრის თქმით, 2016 წლის ბიუჯეტი სოციალურად ორიენტირებული იქნება და სახსრები განკუთვნილი იქნება პენსიებისა და პედაგოგების საბაზო ხელფასების ზრდისათვის, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ხელშეწყობისთვის.

ვინ გაიმარჯვებს კონკურსში?

3 დეკემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებული ვაკანსიების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში ჩატარდა ტესტირების მეორე ეტაპი. როგორც დედოფლისწყაროს საატესტაციო კომისიაში დანაცხადეს, ტესტირებაზე 32 კონკურსანტიდან არ გამოცხადდა 12 კონკურსანტი, 6-მა ვერ გადალახა მინიმალური ზღვარი.

ტესტირების მესამე ეტაპი 14 დეკემბერს ჩატარდება. სწორედ გასაუბრებაზე გაირკვევა იმ 8 ადამიანის ვინაობა, ვინც გამოცხადებულ ვაკანსიებზე შესაბამის პოზიციას დაიკავებს.

მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „შირაქი“ არ ღალატობს ტრადიციას და კვლავაც გთავაზობთ ფერად **საახალწლო კალენდარს.** თუ გსურთ, თქვენი ბავშვის ფოტო განთავსდეს 2016 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ წარმოადგინეთ ის 24 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში. შეგახსენებთ, რომ კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ეღირება. მაგრამ, თუ, ერთ ფოტოში ორი, ან მეტი ბავშვი იქნება - 20 ლარი.

იჩქარეთ, რაოდენობა შეზღუდულია!!!

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2016 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

C M Y K

ფიროსმანის სახლ-მუზეუმს რესტავრაცია ჩაუტარდება

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და მუნიციპალური განვითარების ფონდის ინიციატივით, შემოდგომაზე მირზაანში ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია იგეგმება. როგორც ძეგლთა დაცვის სააგენტოს დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე ამბობს, მუზეუმის აღდგენას გლობალური დატვირთვა ექნება და გარდა აღდგენისა, ამავე ტერიტორიაზე დამთვალიერებლისთვის კეთილმოწყობილი გარემო შეიქმნება. ამასთან ერთად კი, ეტაპობრივი მუშაობა ფიროსმანის ტილოების რესტავრაციაზეც დაიწყება. სატენდერო პირობების მიხდევით, უნდა მოხდეს: სახლ-მუზეუმის საძირკვლის გამაგრება, სახურავისა და იატაკის შეცვლა, აივნის სვეტებისა და რიკულების ახლით შეცვლა, კიბეების მოწესრიგება-შეცვლა, კარ-სარკმლების ახლით შეცვლა, სარდაფში ჩასასვლელი დარაბის აღდგენა, ფასადებზე გვიანდელი ბათქაშის მოხსნა, საწვიმარი მილის გამოცვლა, აგურის იატაკის მოწყობა .

მუზეუმის რეაბილიტაციისთვის ბიუჯეტიდან მაქსიმუმ 34 628 ათასი ლარის დახარჯვა იგეგმება. "სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ფიროსმანის სახლ-მუზეუმში ბევრი რამ ჩამოინგრა და ჩვენ მის რეაბილიტაციას ამ დრომდე ვერ ვახერხებდით. ამ საქმეში კი როგორც კულტურული მემკვიდრეობის გულშემატკივარი, მუნიციპალური განვითარების ფონდი დაგვეხმარა და მისი აღდგენის ინიციატივა მთავრობის დონეზე გაიტანა, რის შემდეგაც მთავრობის გადაწყვეტილებით თანხა გამოიყო. პროექტი ჩვენი მომზადებულია, თუმცა ეს ძალიან მცირე ნაწილია იმ ყველაფრისა, რაც ზოგადად ფიროსმანის მუზეუმში უნდა ჩატარდეს.უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმში მუშაობენ საკმაოდ დამსახურებული ადამიანები, რომელთა ძალისხმევითაც ის შენარჩუნდა და 90-იან წლებში გაძარცვას გადაურჩა.

მომავალი წლის გეგმაში კი ტერიტორიის კეთილმოწყობაც იგეგმება, რათა მუზეუმი არსებობდეს არა მხოლოდ დამთვალიერებლისთვის, არამედ იქ ხელოვანი ადამიანებისთვის შემოქმედებითი გარემო შეიქმნას, მოეწყოს ფესტივალები, გამოფენები და ა.შ. მომავალი წლის გეგმაში 130 ათასი ლარია გამოყოფილი, თუმცა ამის



შემდეგ ვფიქრობთ, რომ დაახლოებით 20 ათასამდე გამოვყოფთ. მუზეუმი 2017 წლის ბოლოს პირველადი გადაუდებელი სამუშაოებითა და ინფრასტრუქტურით უკვე მოწყობილი იქნება", - აცხადებს ნიკოლოზ ანთიძე.

იმპერიები ადრე თუ გვიან ინგრევა...

დღეს, როცა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა დაძაბულია, როცა ჩვენი „ჩრდილოელი ძმა" ერთმორწმუნეობის სახელით ტერიტორიებს გვართმევს, ძნელია ისაუბრო მასთან ურთიერთობის დათბობაზე, მაგრამ საერთაშორისო დიპლომატიის მაგალითები გვიჩვენებს, რომ სიტუაციის დარეგულირების ყველაზე რაციონალური გზა დიალოგია. ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების მოწესრიგება კი არა მარტო რუ-



სეთთან, არამედ ნებისმიერ მეზობელ სახელმწიფოსთან აუცილებელია საქართველოსთვის...

2015 წლის 9 დეკემბერს დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სათემო ორგანიზაცია „ხორნაბუჯმა" (ხელმძღვანელი მანანა ყატაშვილი) კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი - კავკასიური სახლის დაფინანსებით დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან ერთად ჩაატარა მოსწავლეთა სასწავლო-შემეცნებითი კონფერენციის შემაჯამებელი ღონისძიება თემაზე „ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობები". წინასწარ გამოცხადებულ ვადაში საკონკურსოდ წარმოდგენილი იყო სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეთა ნაშრომები: „ქართველი სამხედრო პირები რუსეთში" (ავტორი გოგა ცხვედიაშვილი, ხელმძღვანელი ნანა ჯავახიშვილი, ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა); „ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი და ნეჩვოლოდოვები" (ავტორი დიანა ბაუმი, ხორნაბუჯის საჯარო სკოლა); „ედვარდ ჩოუშიანი" (ავტორი მილენა აგაბალიანი, ხორნაბუჯის საჯარო სკოლა); „თეთრხალათიანი რაინდები" (ექიმ ნატროშვილების დინასტია) (ავტორი ანასტასია ყოჩიაშვილი, ხელმძღვანელი ეგული ყოჩიაშვილი, ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლა); ხელოვნება საზღვრების გარეშე (ავტორები: ქეთი წიკლაური, ხათუნა გუშარაშვილი, ხელმძღვანელი ირინა თეთვაძე, ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლა); ზურაბ წერეთელი (ავტორი გიორგი პოპიაშვილი, ხელმძღვანელი ჯულეტა პოპიაშვილი, ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლა); კონკურსის მონაწილეებისათვის მომზადდა სამეცნიერო თემები ქართულ-რუსული ურთიერთობების ისტორიის და თანამედროვეობის შესახებ, მოეწყო ასევე შემეცნებითი გამოფენა დედოფლისწყაროში დრაგუნთა პოლკის საქმეების და აქ გადმოსახლებული დეკაბრისტების ისტორიებზე. მოსწავლეებმა წარმოადგინეს თავიანთი ნაშრომები პრეზენტაციების სახით, ასევე გაეცნენ საქართველოს სამეფოების და რუსეთის ურთიერთობების ისტორიულ ფაქტებს, რუსეთში ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქართველების საქმიანობას, რუსი მწერლების საქართველოსთან დამოკიდებულების ამსახველ ინფორმაციას, წარმატებული დედოფლისწყაროელების და მათი შთამომავლების მოღვაწეობას რუსეთში. ჟიურიმ: ეთერ ფიცხელაურის (ასოციაცია „წითელწყარო"-ს თავმჯდომარე), მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლების ლალი ბასილაშვილის და ლიანა ბაიდოშვილის შემადგენლობით გამოავლინა გამარჯვებული მოსწავლეები:

I ადგილი- გოგა ცხვედიაშვილი; II ადგილი-მილენა აგაბალიანი; III ადგილი-ანასტასია ყოჩიაშვილი; აქტიური მონაწილეები: დიანა ბაუმი, გიორგი პოპიაშვილი, ქეთი წიკლაური, ხათუნა გუშარაშვილი. მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სიგელებით, პრემიებით და ფასიანი საჩუქრებით. ღონისძიებას ესწრებოდნენ კავკასიური სახლიდან: პროექტის „კულტურის კალენდარი" კოორდინატორი მიხო ბეროშვილი, პროექტის „ახალგაზრდა კავკასიელი ლიდერები მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის" კოორდინატორი თამარ უჯუხუ. დედოფლისწყაროს სათემო ორგანიზაცია „ხორნაბუჯი" მადლობას უხდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს ქალბატონ ლალი გურასპაულს და მუზეუმის თანამშრომლებს, ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის პედაგოგ ნანა ჯავახიშვილს, ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედაგოგ სვეტლანა ჩოვუშიანს, ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის პედაგოგებს ირინა თეთვაძეს და ჯულიეტა პოპიაშვილს, დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრს ღონისძიების ორგანიზებაში თანადგომისათვის.

მეცხრამეტე საუკუნის რომანტიზმში უმნიშვნელოვანესი ადამიანები გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე, როგორებიც არიან ჰიუგო და გოეთე. მათ არ ჩამორჩა რუსული ინტელიგენციაც და ამის დასტურია მიხეილ ლერმონტოვის შემოქმედება, რომლის გარეშეც მსოფლიო ლიტერატურის საგანძური, კერძოდ კი რომანტიკული პოეზია, ძალიან დიდი დანაკარგს განიცდიდა. ლერმონტოვის ბიოგრაფიას თუ გადავხედავთ, რამდენიმე საინტერესო დეტალთან ერთად შევამჩნევთ, რომ რუს მწერალზე უდიდესი შთაბეჭდილება იქონია გადასახლების პერიოდში საქართველომ, მისმა კულტურამ, ეთნიკურმა სილამაზემ და ბუნებამ. სამომავლოდ, სწორედ ეს ფაქტორები გახლდათ ლერმონტოვისთვის შთაგონების წყარო- რომელიც გამოვლინდა მის რამდენიმე სერიოზულ ნაშრომში. ერთ-ერთია პოემა "დემონი", სადაც მოქმედება საქართველოში ხდება. კონფერენციის დასასრულს დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დირექტორმა ცარო მარტიაშვილმა სწორედ ამ პოემიდან წაიკითხა ნაწყვეტი ჩვეული ოსტატობით.

ღონისძიების დასასრულს კონფერენციის მუშაობა შეაფასა კავკასიური სახლის წარმომადგენელმა **მიხო ბეროშვილმა**: „ძალიან გულდასმით იმუშავეს მათ, ვინც დღეს ეს პატარა პრეზენტაციები წარმოადგინეს. მე ამ ბავშვებში დიდი პოტენციალი დავინახე, მათ თავისუფლად შეუძლიათ უფრო დიდი ზომის ნაშრომები მოამზადონ შემდეგში. ჩვენი ორგანიზაცია მცირე გრანტით დაეხმარა ამ ორგანიზაციას და ვხედავთ, რომ თანამშრომლობა შედგა. ჩვენ ვხედავთ, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში დაიწყო მოლაპაკებები რუსეთთან, თუმცა, მაინც ვფიქრობთ, რომ ურთიერთობები დასალაგებელია, ამასთანავე, არ შეიძლება დაივიწყო რუსული კულტურა, ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობები და მით უფრო იმ ფონზე, რომ მუდმივი არაფერია-იმპერიები ადრე თუ გვიან ინგრევა, რადგან ისინი თვითგანადგურების რეჟიმში თავიანთი პოლიტიკით არიან ჩართულნი. ეს ითქმის რუსეთზეც – ის ასეთი ფორმით დიდხანს ვერ შენარჩუნდება და რაღაც მაინც შეიცვლება...ამ პროცესებს რომ მომზადებულები შევხვდეთ, ამისთვის საჭიროა მსგავსი კვლევები".

პოლიტიკა დროებითი მოვლენაა, ხელოვნება და ადამიანური ურთიერთობები კი – მარადიული. იმ პოეტებისა და მწერლების უმრავლესობას, რომლებიც დედოფლისწყაროს ხშირი სტუმრები იყვნენ, სულაც არ მოსწონდათ რუსული ცარიზმი, დღესაც პუტინის იმპერიალისტურ ზრახვებს სწორედ მოაზროვნე ადამიანები აპროტესტებენ... ისტორიის კარგი ცოდნა კი მხოლოდ სწორი დასკვნების გაკეთებაში დაეხმარება ჩვენს მომავალ თაობას თუ როგორი სახის ურთიერთობაა შესაძლებელი ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან...

ინგა შიოლაშვილი

რა სოციალურ და საგადასახადო შეღავათებს ითვალისწინებს მთის კანონი

რას ითვალისწინებს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 16 ივლისს მიიღო და ეტაპობრივად უნდა ამოქმედდეს. რას ნიშნავს „მაღალმთიანი რეგიონის“ ცნება, რას გულისხმობს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი და როგორ უნდა მოვიპოვოთ ის; რა სოციალური და საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირები?

რას ნიშნავს „მაღალმთიანი რეგიონის“ ცნება

კანონის მიხედვით, მაღალმთიან დასახლებად ითვლება დასახლება, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია სხვადასხვა კრიტერიუმის (მთის ფერდობის დახრილობა, ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, კლიმატური პირობები და ბუნებრივი გარემო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული მდგომარეობა, მათ შორის, გამწვავებული მიგრაციული პროცესები) გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიანიჭოს დასახლებას, რომელიც ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. გამონაკლის შემთხვევაში, ამ პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი შეიძლება ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლეზე ქვევით მდებარე დასახლებასაც მიენიჭოს.

მდებარეობის მიუხედავად, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი კანონის საფუძველზე მიენიჭათ საქართველოს შემდეგ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში მდებარე დასახლებებს: ხევი; მთიულეთი; პანკისის ხეობა; მაღალმთიანი აჭარა; გუდამაყრის ხეობა; ფშავ-ხევსურეთი; თუშეთი; ზემო სვანეთი; ქვემო სვანეთი; ლეჩხუმი; რაჭა.

ზოგადი წესის თანახმად, დასახლებას მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ენიჭება მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შეტანის ფორმით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

რას გულისხმობს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი

ფიზიკური პირისთვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შენყვეტის, შეჩერების, აღდგენის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების შესაბამისად (მასზე დარგობრივ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო). ამასთან, იგი ვალდებულია შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გამოცემიდან 1 კვირის ვადაში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერების, აღდგენის შესახებ ინფორმაცია მიანოდოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (აქედან გამომდინარე, სასურველია, რომ მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა სათანადო ცვლილება (დამატება) შეიტანონ შესაბამისი გამგეობის/მერიის დებულებაში).

ფიზიკურ პირს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი ენიჭება, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) არის საქართველოს მოქალაქე; ბ) რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში; გ) ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში საერთო ჯამში 9 თვის ან უფრო მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში.

კანონი ადგენს ასევე აღნიშნული სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლებს. კერძოდ:

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირს სტატუსი შეუჩერდება, თუ: ა) სასამართლომ სასჯელის სახით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა; ბ) მაღალმთიანი დასახლება დატოვა უმაღლესი ან პროფესიული განათლების მიღების მიზნით და კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში ფაქტობრივად 9 თვეზე ნაკლები ვადით ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში.

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი შეუწყდება იმ შემთხვევაში, თუ: ა) გარდაიცვალა; ბ) შეიცვალა რეგისტრაციის მისამართი (გარდა აღნიშნული პირის სხვა მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრაციის შემთხვევისა); გ) დატოვა მაღალმთიანი დასახლება, რის გამოც კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში ფაქტობრივად 9 თვეზე ნაკლები ვადით ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში (გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მან მაღალმთიანი დასახლება მკურნალობის ან სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის მიზნით, გარკვეული ვადით დატოვა ან თუ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა, აგრეთვე სტატუსის შეჩერების ზემოაღნიშნული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში); დ) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა.

სოციალური შეღავათები

კანონის შესაბამისად, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირები ისარგებლებენ შემდეგი სოციალური შეღავათებით:

ა) 2016 წლის 1 სექტემბრიდან - საპენსიო ასაკს მიღწეულ პირებს, რომლებიც ყოველთვიურად იღებენ სახელმწიფო პენსიას, სოციალური დახმარების სახით მიეცემათ ყოველთვიური დანამატი - სახელმწიფო პენსიის არანაკლებ 20 %-ის ოდენობით. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სოციალური პაკეტის მიმღებ, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირებს მიეცემათ ყოველთვიური დანამატი მათთვის გათვალისწინებული სოციალური პაკეტის 20 პროცენტის ოდენობით;

ბ) 2016 წლის 1 სექტემბრიდან - მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებულ სამედიცინო პერსონალს, რომლის შრომა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურდება, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით ყოველთვიურად მიეცემა დანამატი: ექიმს - სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით; ექთანს - სახელმწიფო პენსიის ოდენობით;

გ) 2016 წლის 1 სექტემბრიდან - ზამთრის პერიოდში (15 ოქტომბრიდან მომდევნო წლის 15 აპრილის ჩათვლით) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა გათბობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას;

დ) 2017 წლის 1 იანვრიდან - აბონენტს (საყოფაცხოვრებო მომხმარებელს) აუნაზღაურდება მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 %, მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა;

ე) 2016 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებული პირველი და მეორე ბავშვებისათვის, რომელთა ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი, 1 წლის განმავლობაში ყოველთვიურად მიეცემა ფულადი დახმარება - არანაკლებ 100 ლარი, ხოლო მესამე და ყოველი შემდგომი ბავშვისათვის - 2 წლის განმავლობაში ყოველთვიურად მიეცემა ფულადი დახმარება - არანაკლებ 200 ლარის ოდენობით;

ვ) 2016 წლის 1 სექტემბრიდან - მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელს მიეცემა დანამატი - საჯარო სკოლის მასწავლებლის საბაზო თანამდებობრივი სარგოს არანაკლებ 35 %-ის ოდენობით; სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელს კი დანამატის სახით მიეცემა შრომის ანაზღაურების არანაკლებ 35%. მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისთვის ფინანსური დახმარების გაწევისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს და დაამტკიცებს შესაბამის სახელმწიფო პროგრამას;

ზ) 2016 წლის 1 იანვრიდან - მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის, მრავალსექტორიანი საჯარო სკოლის მოსწავლეებს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს მიეცემათ ვაუჩერის გაზრდილი ოდენობა. აღნიშნული ვაუჩერის გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სპეციალური დადგენილებით;

თ) 2016 წლის 1 სექტემბრიდან - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ან/და მის სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული შესაბამისი პროგრამის მონაწილე მასწავლებლებს, რომლებიც პროგრამის ფარგლებში მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არიან დასაქმებული, მიეცემათ დანამატი - შრომის ანაზღაურების არანაკლებ 50%-ის ოდენობით. ეს დანამატი არ მიეცემა პირს, რომელიც სარგებლობს ამ ჩამონათვალის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული სოციალური შეღავათით.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სოციალური შეღავათების მიღება არ არის საარსებო შემწეობის გაუქმების საფუძველი და არ ჩაითვლება შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ღატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებად.

საგადასახადო შეღავათები

2016 წლის 1 იანვრიდან მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირები და მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მქონე მეწარმე სუბიექტები ისარგებლებენ საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო შეღავათებით. კერძოდ:

ა) საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება:

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მრავალშვილიანი პირის (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) მიერ აღნიშნულ მაღალმთიან დასახლებაში საბიუჯეტო ორგანიზაციიდან კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი.

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ ერთ ან ორშვილიან პირს (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) აღნიშნულ მაღალმთიან დასახლებაში საბიუჯეტო ორგანიზაციიდან კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი 50 პროცენტით უმცირდება;

ამავე მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული 6000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციიდან ხელფასის სახით მიღებული შემოსავლისა;

მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის მიერ მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობით მიღებული შემოსავალი - შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით).

ბ) მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება:

მაღალმთიანი დასახლების საწარმოს მიერ ამავე მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით მიღებული მოგება - შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით).

გ) ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის საკუთრებაში არსებული, ამავე მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთი;

მაღალმთიანი დასახლების საწარმოს საკუთრებაში არსებული, ამავე მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე ქონება - შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭების უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციული ორგანო, აგრეთვე მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომელიც 2015 წლის 1 დეკემბრამდე უნდა ყოფილიყო მიღებული.

ამასთან, მეწარმე სუბიექტს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი არ მიენიჭება ან ეს სტატუსი შეიძლება შეუწყდეს, თუ იგი ახორციელებს: ა) ლიცენზირებისადმი ან ნებართვის გაცემისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას; ბ) მომსახურების გაწევას (გარდა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეებისა); გ) საქონლით ვაჭრობას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხორციელდება საქონლის გადამუშავება და მიწოდება).

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობას ენიჭება უფლებამოსილება - დამატებით განსაზღვროს ეკონომიკური საქმიანობის ის სახეები, რომლებზედაც ასევე გავრცელდება აღნიშნული საგადასახადო შეღავათები.

და ბოლოს, ცვლილება განხორციელდა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონშიც, რომლის თანახმადაც, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა მინიმალური რაოდენობა მაღალმთიანი რეგიონის სტატუსის მქონე დასახლებებში არ უნდა იყოს 3-ზე ნაკლები (საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე 5-ზე ნაკლები).

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის №591 დადგენილებით დამტკიცდა „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესი“.

სტატუსის მინიჭების მოთხოვნის უფლება აქვს მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებ ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც აკმაყოფილებს ერთდროულად შემდეგ სამ პირობას: ა) არის საქართველოს მოქალაქე; ბ) რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში; გ) ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში, ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით, ფაქტობრივად ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში.

სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენის უფლება აქვს ქმედუნარიან პირს, ხოლო 18 წლამდე არასრულწლოვანისთვის სტატუსის მინიჭების საკითხი განიხილება მისი კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე.

განცხადება წარედგინება შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს, მატერიალური ან ელექტრონული ფორმით. განცხადება შეტანილ უნდა იქნეს სპეციალური ფორმით, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს გამგებელი/მერი.

განცხადებას უნდა დაერთოს: საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; მაღალმთიან დასახლებაში კალენდარული წლის განმავლობაში, ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტები (მათ შორის ფოტოსურათები, რომლებიც ადასტურებენ ფიზიკური პირის მიერ მაღალმთიან დასახლებაში შინასამეურნეო საქმიანობის განხორციელების ფაქტს, რაც გულისხმობს საცხოვრებელი ადგილის გამოყენებას, მის მოვლა-პატრონობას და მაღალმთიან დასახლებაში არსებული უძრავი ქონების ფლობას; სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ინფორმაცია; საჯარო სკოლის მიერ გაცემული ინფორმაცია, ფიზიკური პირის მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლაში დასაქმების თაობაზე; უფლებამოსილი იურიდიული პირის/ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ფიზიკური პირის მაღალმთიან დასახლებაში მდებარე დაწესებულებაში/იურიდიულ პირში დასაქმების ფაქტს; იმავე მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრირებული არანაკლებ ორი მოწმის განცხადება; მაღალმთიან დასახლებაში გადასახდელების ან/და მომსახურების საფასურის/ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვ.); ფიზიკური პირის მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი; სხვა პირის მიერ განცხადების წარდგენის შემთხვევაში — უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის საკითხის განხილვისა და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენის მიზნით, მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ქმნის სათათბირო ორგანოს - საბჭოს, რომლის შემადგენლობა და წევრთა რაოდენობა განისაზღვრება გამგებლის/მერის ბრძანებით. საბჭოს წევრთა საქმიანობა არ ანაზღაურდება.

(გაგრძელება გვ.7)

ბერიკონის სპექტაკლი – „ფიროსმანი“ ქველმოქმედებისთვის

დამდგმელი რეჟისორი ცარო მარტიაშვილი. როლებში: ფიროსმანი- თორღვა ნაროზაული, მარგარიტა- თათული ხუციშვილი, ია - ანა ლოლაშვილი,მეთევზე- სოსო კიკილაშვილი, შეძლებული გლეხი- გიორგი ბენაშვილი, მეეზოვე- აბრამ ახალაური,

თავადები - ვაჟა ჯანაშვილი, ნიკა ყაჭაშვილი, დათო ხუციანიძე, გოგონა ბუშტითმალვინა ისმაილოვა, მხატვარი- თორნიკე აფციაური, მუზები-თათია ცისკარაული, ლიკა ბახუტაშვილი, ეთო შარმაზანაშვილი, ანა დავითაშვილი, კატო გვენეტაძე, თაკო ხუციშვილი. მხატვრობა- გია ყაჭაშვილი, განათება -ვარლამ ქადაგიძე, გახმოვანება - მამუკა უთრუთაშვილი, კოსტიუმები - მანანა ნაროზაული, გრიმი- სოფიო კირვალიძე, ტექნიკური რეჟისორი -ლია მაისურაძე. აი, ამ შემადგენლობით გასულ კვირას დედოფლისწყაროს ახალგაზრდა თეატრალური დასის „ბერიკონის” მიერ კულტურის სახლის სცენაზე „ფიროსმანი“ დაიდგა.

დარბაზი მაყურებლით იყო გადავსებული. სცენაზე ფიროსმანი დგას, რომელიც თავის სულიერ განცდებს გადმოგვცემს, მისი სულის ერთადერთი მალამო იაა, რომელიც ცდილობს ის ჭრილობები მოუშუშოს მხატვარს, რომელიც საზოგადოების მკაცრმა ხელმა დაამჩნია. თვით მხატვრის დახატული გმირებიც კი გადმოდიოდნენ ჩარჩოებიდან და ედავებოდნენ საბრალო მხატვარს, რა გინდოდა, რატომ დამხატე წითელი პერანგით?! ან ხელში თევზი რატომ დამაჭერინე?! რად დამხატე ჭრელი წინდებით?! რას მერჩოდი, ხელში ბუშტი რად დამაჭერინე?! რატომ, რატომ! -ედავებოდნენ ნახატები ფიროსმანს. მუზებიც მის საკრიტიკოდ ამხედრებულიყვნენ და ეს ყოველივე ძალიან კარგად ასახავდა იმ მწარე ხვედრს, რაც ნიკო ფიროსმანაშვილს სიცოცხლეში ერგო. სპეაქტაკლი მძიმე საყურებელი იყო, ცოტა სულსაც ამძიმებდა, თუმცა, მისი მიზანიც სწორედ ეს გახლდათ, რომ შეგვეღწია მის ტკივილიან სამყაროში, - ახალგაზრდა მსახიობებმა მოახერხეს, რომ ფიროსმანის სამყაროში გადაესროლათ მაყურებელი და ცოტა ხნით მაინც კიდევ ერთხელ დაეფიქრებინათ ფიროსმანის ცხოვრებაზე. მთლიანობაში სპექტაკლი შედგა, მას დიდი ოვაციები და ფარდის რამდენჯერმე გახსნა მოჰყვა მაყურებლისგან, რაც იმის დასტური გახლდათ, რომ მაყურებელმა სწორად გაიგო და კარგად მიიღო დადგმული „ფიროსმანი.“ ჩვენ კი, ამაყები იმით, რომ ჩვენს რაიონში კვლავ აღორძინების საწყისშია თეატრალური დასის არსებობა, სპექტაკლის რეჟისორთან, თეატრალური დასის „ბერიკონის” დამაარსებელთან და ხელმძღვანელთან, ამ საღამოს ორგანიზატორთან ცარო მარტიაშვილთან რამდენიმე კითხვით მივდივართ.

- ქალბატონო ცარო, მინდა დღევანდელ დღეზე გკითხოთ, ვისი იდეა იყო ამ სპექტაკლის გამართვა, თუ გაგრძელდება კვლავ მისი ჩვენება და რა შრომაა ამაში თქვენის მხრიდან ჩადებული?

-სპექტაკლის გამართვა იყო ჩვენი, ანუ მთლიანად „ბერიკონის” იდეა. ყველაფერი კი ასე დაიწყო: მირზაანში, ფიროსმანობაზე ვაჩვენეთ საფინალო სცენის ნაწყვეტი, უკან რომ ვბრუნდებოდით, პირდაპირ ჩანდა დამწვარი სკოლის შენობა, სულის შემძვრელი და გულის ამაჩუყებელი სანახავი იყო, მაშინ გაგვიჩნდა სურვილი საქველმოქმედო სპექტაკლის გამართვისა. დღევანდელი ჩვენი საღამო გახლდათ საქველმოქმედო,შეგროვილი 175 ლარი გადაეცა ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლას, რითაც ბავშვებმა თანადგომა გამოხატეს თანატოლების მიმართ.

- რა დრო დასჭირდა სპექტაკლის მომზადებას და რატომ ფიროსმანი?

- სპექტაკლი მზადდებოდა თითქმის 7 თვის განმავლობაში.. დავიწყეთ მეტყველების კულტურის განვითარებით.. ახლაც, თითქმის ყველა რეპეტიცია მეტყველების სავარჯიშოებით იწყება! მერე უკვე ჩავუღრმავდით პიესას. გავხსენით ხასიათები... ტიპაჟები, ერთი სიტყვით, ადვილი ნამდვილად არ იყო. რთული გზა გავიარეთ. რაც შეეხება ფოროსმანის თემას, ჩვენი ლეგენდარული მხატვრის შესახებ თემა ამოუწურავია! ადამიანი, რომლის არც დაბადების თარიღია ზუსტად ცნობილი და არც გარდაცვალების, რომლის საფლავიც დღემდე არ ვიცით... თითქოს მოვიდა უსასრულობიდან და დაგვიტოვა უსასრულობა!! ჩემთვის ფიროსმანის თემა ახლობელი და საყვარელია. თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი პირველი დამოუკიდებელი ღონისძიება, რომელიც ინსტიტუტის დამთვრების შემდეგ გავაკეთე, „ფიროსმანობა” იყო.

- იქნებ თქვათ „ბერიკონის“ შესახებ ორიოდ სიტყვა, რამდენად გაამართლეს მსახიობებმა თქვენი იმედები?

-ბერიკონი ორი წლის წინ დაარსდა, 2013 წლის 26 ივნისს გვქონდა პირველი წარმოდგენა. ეს ჩვენი რიგით მესამე სპექტაკლია. „სტუმარ- მასპინძლის“ და „ბასიანის ბრძოლის“ შემდეგ. რაც შეეხება მსახიობებს, მე ვიტყოდი, მოლოდინს გააჭარბეს , მაგრამ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია!!!

-მაყურებელმა დიდი ოვაციებით მიიღო თქვენს მიერ დადგმული სპექტაკლი, თუ გეგმავთ კიდევ გაიმეოროთ ჩვენს სცენაზე აღნიშნული სპექტაკლი?

- აქ აღარ გამეორდება, ვგეგმვთ გასვლით სპექტაკლებს კახეთის ზონაში, შეიძლება თბილისშიც. მზად ვართ, მივიღოთ მონაწილეობა ნებისმიერ თეატრალურ ფესტივალში.

მაია ხუნაშვილი (ზემო მაჩხაანის სკოლის დირექტორი): „დიდი მადლობა მინდა ვუთხრა თეატრ „ბერიკონის“ შემოქმედებით ჯგუფს ჩვენი თანადგომისთვის. მართალია, თანხა დიდი არ არის, 200 ლარამდეა და სოლიდური ნივთის შეძენას ვერ მოვახერხებთ, მაგრამ ჩვენთვის მთავარია მათი ყურადღება და მხარდაჭერა. მაშინვე შევადგინეთ აქტი და ჩუქების ფორმით სპექტაკლზე შეწირული თანხა ჩვენ გადმოგვეცა. ვგეგმავ, რომ ეს თანხა მხოლოდ ბავშვებს მოხმარდეს და არა პედაგოგებს. ამავე დღეებში აუცილებლად შევხვდები მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებს, მათთან ერთად დავგეგმავთ, რა მიმართულებით დავხარჯავთ ამ თანხას. ვფიქრობთ, რომ რაიმე ისეთ საგნებს შევიძენთ, რაც ფართო გამოყენების იქნება და მოსწავლეთა პირობებს გააუმჯობესებს. ყველანაირად ვცდილობთ ეს კრიზისი დავძლიოთ და გაჭირვებას გავუმკლავდეთ.“

ლალი მეხრიშვილი

მოდი, ვნახოთ ყანა...

თაგვის საწინააღმდეგო პრეპარატის შემოტანას სახელმწიფო უზრუნველყოფს

შირაქის ველებს მინდვრის თაგვი ანადგურებს. სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსი ზურაბ ლიპარტია ამბობს, რომ მავნებელ მღრღნელთან ბრძოლის დაწყება ხდება, თუ ჰექტარში 200-ზე მეტი სორო ფიქსირდება. ამჯერად შირაქის ველებზე 3 000-3 500 სორო შეინიშნება, ამიტომ დედოფლისწყაროში მინდვრის თაგვის გავრცელების კუთხით საგანგაშო მდგომარეობაა შექმნილი. დეპარტამენტის უფროსი ამბობს, რომ უახლოეს დღეებში მოსახლეობას მინდვრის თაგვის საწინააღმდეგო პრეპარატი უფასოდ დაურიგდება. პროცესი სავარაუდოდ დეკემბრის მეორე ნახევარში დაიწყება და მის გაცემას თვითმმართველობის ორგანო ურზუნველყოფს.

საგანგაშო ვითარებაზე საუბრობს **სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი** შალვა თეთვაძე, რომელიც დედოფლისწყაროს მკვიდრია და მრავალი წელია ამ სფეროში მოღვაწეობს.

„მავნებლის ასეთი მოზღვავება არ ყოფილა, წელს არ ვიცი, რა მოხდა, ბუნებრივმა პირობებმა ხელი შეუწყო და ძალიან გავრცელდა. ყველგან შეინიშნება, არა მარტო ნაკვეთებში, ქარსაცავებში, სათიბებზე, გზების გასწვრივ... თბილი ამინდები იყო ოქტომბერსა და ნოემბერში და ამანაც მოახდინა გავლენა. მაგრამ, მინდვრის თაგვის გავრცელება ისეთი პრობლემაა, თუ მასიურად არ მოხდა მღრღნელთან ბრძოლა, ისე აზრი არ აქვს. ერთი ნაკვეთიდან მეორე ნაკვეთზე გადაინაცვლებს და პრობლემა პრობლემად რჩება. ყველა ნაწილში უნდა დამუშავდეს, მათ შორის ქარსაცავებში. მასთან ბრძოლას კი უამრავი ხელისშემშლელი პრობლემა აქვს, მათ შორის უნდა ითქვას, რომ შხამქიმიკატები ძვირია. ვთხოვ ხელისუფლებას, რაიმე სახის შეღავათები ან დახმარება გაუწიონ. სახელმწიფო უწყებებში სპეციალისტებმაც კარგად იციან, რამდენად რთული ვითარებაა დედოფლისწყაროს მინდვრებში. თაგვი თვეში ერთხელ მრავლდება და ადვილი წარმოსადგენია, რა ზარალი შეიძლება მიაყენოს სოფლის მეურნეობას.

- ბატონო შალვა, რას უკავშირებთ, წელს რატომ გვაქვს შედარებით უფრო რთული ვითარება?

- ბუნებრივი პროცესია, მეცნიერები იკვლევენ და კიდევ ვერ გარკვეულა, მავნებლები და სარეველები რაღაც დოზით ყოველთვის მრავლდება ხოლმე. მთავარია სახელმწიფო უწყებებმა შესამაბისი რეაგირება დროულად მოახდინონ და გლეხკაცს მხარში დაუდგნენ. დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ ზემდგომ ორგანოებს, რომ სასიკეთო დახმარებები სოფლის მეურნეობაში არის ხოლმე და სწორედ ამიტომ გასულ წელს დედოფლისწყაროელებმა კარგი მოსავალი მივიღეთ. ეს კი იმან განაპირობა, რომ ხელისუფლების მიდგომის გამო ხალხს გული მიუბრუნდა და მიწის დამუშავებას შეუდგა. ბარათების პროგრამამაც კარგად იმუშავა, ეს ყველაფერი ჯამში კარგად აისახა სოფლის მეურნეობაზე. რამდენიმე წლის წინ გვახსოვს, რომ ნაკვეთებში უკვე ტრაქტორიც აღარ მუშაობდა, ახლა კი წინსვლა ჩანს. სამწუხაროდ, მედიასაშუალებებიც და ცნობილი ადამიანებიც აქცენტებს სხვადასხვა პრობლემებზე და მეათეხარისხოვან თემებზე აკეთებენ. ხშირად არ ახსენებენ, რა უჭირს მინდორში გლეხს, რა გულისტკივილი აქვს ფერმერს. არავინ მინახია, ჩამოსულიყოს შირაქში და აინტერესებდეს, ვინ როგორ ხნავს და თესავს, რა მოსავალი მოდის და როგორი ვითარებაა“.

ზურაბ ლიპარტია: „მუნიციპალიტეტებმა და გუბერნიებმა გვაცნობეს ამ პრობლემის შესახებ. შემდეგ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რეაგირება დაგვავალა და ჩვენც შევუდექით მუშაობას. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ სოროების სიხშირე დედოფლისწყაროს ზოგიერთ ნაკვეთში ჰექტარზე 3 500 მდეა

გაზრდილი. ვითარებას კატასტროფული შეიძლება ეწოდოს. როგორც იტყვიან, ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს მღრღნელთან საბრძოლველად. რა სახის დახმარება აღმოვუჩინოთ მიწათმოქმედებს, ჩვენ სოფლის მეურნეობის მინისტრის დავალებით ამ საკითხზე ვმუშაობთ. გადავწყვიტეთ, რომ სურსათის საგენტოში შექმნილი სხვადასხვა ეკონომიების ხარჯზე მოვახდინოთ ამ პრეპარატის შეძენა, სასწრაფო წესით შემოტანა და მოსახლეობისთვის გადაცემა. გაირკვა, რომ პრეპარატი არცერთ მეზობელ ქვეყანაში არ აღმოჩნდა. მას მივაკვლიეთ მხოლოდ ინდოეთში, იქიდან კი ტვირთის გადმოტანას ორ თვეზე მეტი დრო სჭირდება და გადავწყვიტეთ, საავიაციო გზით შემოვიტანოთ შემჭიდროებულ ვადებში. სპეციალისტები უკვე გაემგზავრნენ ინდოეთში, შემოვა პრეპარატი და სოფლებში თავად თვითმმართველობები გაანაწილებენ. ეს იქნება ერთჯერადი სახელმწიფო დახმარება. ამ დროისთვის საქართველოში პრეპარატის მარაგი არ აღმოჩნდა. ბოლო დროს 2010 წელს დაფიქსირდა თაგვის მასობრივი გავრცელება. იმხანად დიდი ოდენობით შემოიტანეს პრეპარატი, მაგრამ იმის გამო, რომ შემდეგ წლებში მასზე მოთხოვნა აღარ იყო, კერძო სექტორმა პრეპარატი სხვა ქვეყნებში გაყიდა. ამ ფონზე აღმოჩნდა, რომ ამჯერად აღარ იშოვება. მოგეხსენებათ, რეზერვების შექმნასა და პრეპარატების შემოტანაში სახელმწიფო არ ერევა, რის გამოც პროცესი მთლიანად კერძო სექტორის ხელშია გადასული და თუ არ არის ბაზრის მოთხოვნა, არ შემოდის.

- რამდენად დროულად მოხერხდება სააგენტოს მიერ პრეპარატის შემოტანა და მითუფრო მოსახლეობისთვის განაწილება, თუ მოესწრება მოსავლის განადგურებამდე?

- ვვარაუდობ, რომ დეკემბრის შუა რიცხვებში პრეპარატი უკვე საქართველოში იქნება და მუნიციპალიტეტებზე გადავანაწილებთ. აუცილებლად მოესწრება ამავე სეზონზე მოხდეს რეაგირება. შემდეგ მუშახელი გახდება საჭირო, რომ ნაკვეთებში შეიტანონ. სურსათის სააგენტოს ამის ადამიანური რესურსი არ აქვს, რომ რაიონებში პრეპარატის გაცემის პროცესში ჩაერთოს. მოგეხსენებათ, რომ მუნიციპალიტეტში თითო სპეციალისტი გვყავს და ისინი ვერ გაუმკლავდებიან ამ საქმეს, ამიტომაც, თვითმმართველობები და სოფლის რწმუნებულები დაგვეხმარებიან. ამ გზას მივმართეთ გასულ წლებშიც, როცა ბუგრის საწინააღმდეგო პრეპარატები შემოვიტანეთ.

ხშირი ნალქები და ყინვაა საჭირო, რომ მავნებლის განადგურება მოხდეს, სხვა შემთხვევაში ჩვეულებრივად მოხდება მღრღნელის გამოზამთრება. წელს კი ამ დრომდე სითბოები იყო. ბოლო დროს მოსული თოვლი და ყინვა სრულ პრევენციას ვერ მოახდენს. ამიტომაც აუცილებელია წამლობის ჩატარება, იმედია, თანდათან ნალექებიც გახშირდება და ყინვაც თავის წვლილს შეიტანს მღრღნელის განადგურების საქმეში“.

ილია მარტყოფლიშვილი

ზეგანაკვეთური შრომა საქართველოში: შრომის კულტურა, მომხვეჭელობა თუ უმუშევრობის შიში?

2014 წელს საქართველოში დასაქმებულთა 22% აცხადებდა, რომ უწევდა ზეგანაკვეთური შრომა, ანუ მუშაობდა კვირაში 40 საათზე მეტს.

ერთი შეხედვით, ეს მაინცდამაინც შემაშფოთებლად არ ჟღერს, მაგრამ, როგორც ყველა საშუალო მაჩვენებელი, ესეც მალავს ზეგანაკვეთური შრომის გეოგრაფიულ ვარიაციას. ძალიან ცოტა ადამიანი მუშაობს კვირაში 40 საათზე მეტს ისეთ ადგილებში, სადაც თითქმის არ არსებობს სამსახურები, მაგალითად კახეთსა და რაჭაში. სამაგიეროდ, დასაქმებულთა ნახევარზე მეტს უწევს ზეგანაკვეთური შრომა დინამიურად განვითარებად თბილისში და 44%-ს დედაქალაქის მოსაზღვრე ქვემო ქართლში.

დღეში 8 საათზე მეტხანს მომუშავე ამდენი ადამიანის პირობებში, ზეგანაკვეთური შრომა უკვე ნორმად იქცა და ზოგიერთ პოზიციაზე სავალდებულოდაც კი მიიჩნევა. მაგალითად, საკმაოდ ბევრ სამთავრობო ორგანიზაციაში შეხვედრები და კონსულტაციები რეგულარულად ტარდება სამუშაო საათების შემდეგ და ხშირად შუაღამემდეც კი გრძელდება. ამ ორგანიზაციებში სამუშაოს დასაწყებად კანდიდატებს უკვე უწევთ, „მოქნილობა“ გამოიჩინონ ზეგანაკვეთური შრომის ასპექტში.

ქართველებმა, რომლებსაც ზარმაცი ერის რეპუტაცია აქვთ, შეიძლება დაიმსახურეს კიდეც ზეგანაკვეთური შრომა. ზოგს შეიძლება ეგონოს, რომ დომინანტი ქართველი მამაკაცებისათვის დღეში 12-15 საათიანი შრომა მათთვის პროტესტანტული ეთიკის სწავლების კარგი მეთოდია, მაგრამ ეს მხოლოდ რაღაც მომენტამდე გაამართლებდა. გარდა იმისა, რომ ზეგანაკვეთური შრომა არ გახლავთ სამართლიანი, ხანგრძლივი მუშაობა აქვეითებს შრომისუნარიანობასაც. ამასთან, არაჯანსაღი ცხოვრების წესისა და სამუშაოსთან დაკავშირებული მუდმივი სტრესის გამო, ზეგანაკვეთურად მომუშავეთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობაც უარესდება.

მაშინ რატომ ვმუშაობთ ზეგანაკვეთურად?

შრომის კულტურა, მომხვეჭელობა თუ უმუშევრობის შიში?

დასაშვებია, რომ ზოგიერთი ჩვენგანი ვორკაჰოლიკია, ანუ სამსახურში გატარებული ყოველი დამატებითი საათით მხოლოდ სიამოვნებას იღებს. თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ თბილისელ დასაქმებულთა ნახევარს მონური შრომა სიამოვნებდეს.

იქნებ, ეს ხალხი ზეგანაკვეთური შრომით დამატებითი შემოსავლის მიღებას ცდილობს?! მაგალითად, 2014 წელს საქართველოში ზეგანაკვეთური მშრომელები 246 ლარით მეტ ხელფასს იღებდნენ თვეში, რეგულარულ სრულ განაკვეთზე მომუშავეებთან შედარებით. საერთო ჯამში ამ სხვაობას იმიტომ ვხედავთ, რომ ზეგანაკვეთურ მუშაკთა უმრავლესობა თბილისსა და მის შემოგარენში ცხოვრობს, სადაც ხელფასები (და ცხოვრების ხარჯებიც) გაცილებით მაღალია დანარჩენ საქართველოსთან შედარებით. ისევ განსხვავებული სურათი იხატება, როცა რეგიონულ დონეზე ვცდილობთ მდგომარეობის შეფასებას. თუკი რეგიონშივე დავაკვირდებით, განსხვავებები ზეგანაკვეთურ და განაკვეთურ მომუშავეთა ანაზღაურებებს შორის უმნიშვნელოა. მაგალითად, თბილისში ეს განსხვავება სტატისტიკურად უმნიშვნელოა, ქვემო ქართლში კი მხოლოდ 59 ლარს შეადგენს თვეში. აქედან ცხადი ხდება, რომ ზეგანაკვეთურ მშრომელთა უდიდესი ნაწილის შრომა სათანადოდ არ ფასდება.



ქართული სამართლის პარადოქსები

ახლა ოჯახი უნდა მივატოვო და ციხეში წავიდე?

ბოლო წლების მონაცემებით, საქართველო აღმოსავლეთ ევროპაში მეორე ადგილზეა გოგონების ნაადრევი ქორწინების რიცხვით, მხოლოდ მოლდავეთი გვისწრებს. სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში ყოველდღე 12 არასრულწლოვანი გოგონა თხოვდება. რეგისტრირებული ქორწინების 24% სწორედ არასრულწლოვან წყვილებზე მოდის. ნაადრევ ასაკში ქორწინება ყველაზე ხშირია აჭარაში, შემდეგ - შიდა ქართლში.

ადრეულ ასაკში ქორწინების ინიციატორები ხშირად არასრულწლოვანთა მშობლები არიან. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი გოგონებს იძულებითაც ათხოვებენ, ეს განსაკუთრებით ხშირია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებში. მართალია, კანონმდებლობით იძულება ისჯება, მაგრამ ფაქტია, მსგავსი შემთხვევები მაინც ხდება. მომავალ წელს 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდების ქორწინება მხოლოდ სასამართლოს თანხმობით იქნება შესაძლებელი, ხოლო 2017 წლიდან საერთოდ აიკრძალება 18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინება.

გორის რაიონულ სასამართლოში 20 წლის გიორგი ნიბლაძეს 15 წელს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის დამყარების ბრალდებით ასამართლებენ. გიორგიმ შარშან თანასოფელ 15 წლის გოგონაზე, ნინო კოკაურზე იქორწინა, წელს კი მას ამის გამო ბრალი წაუყენეს და არასრულწლოვნის ცოლად შერთვისთვის 7-დან 9 წლამდე

პატიმრობა ემუქრება. არადა, წყვილს უკვე შვილიც ჰყავს, ისინი ორი თვის გოგონას ზრდიან. ახალგაზრდები სოფელ ვარიანში ცხოვრობენ.

გიორგი ნიბლაძე: - მე და ნინომ ქართული ტრადიციული ოჯახი შევქმენით. გვიყვარდა ერთმანეთი და მის მშობლებს გოგოს ხელი ვთხოვე. 300-კაციანი ქორწილი გვქონდა. ჯვარიც დავიწერეთ და არავის უთქვამს, რომ ჩვენი ქორწინება არ შეიძლებოდა. 10 მაისს ხელიც მოვაწერეთ. 14 სექტემბერს გოგონა შეგვეძინა, დედაჩემის სახელი, მაიკო დავარქვით. მამობას ვნატრობდი და იმის ნაცვლად, რომ მამობის სიხარული მეგრძნო, ჩემი გონება სულ სხვა რამეზე გადაერთო. მიზეზი პროკურატურის ზარი გახდა.

ბავშვის დაბადების მეორე დღესვე იუსტიციის სახლში წავედი დაბადების მოწმობის ასაღებად. ჩვეულებრივ დაარეგისტრირეს ბავშვი, მაგრამ მეორე დღეს დამიბარეს პროკურატურაში. იქ კი განმიცხადეს, რომ თუ არ დავთანხმდებოდი პროკურატურის პირობებს, 7-დან 9 წლამდე პატიმრობა მემუქრებოდა.

- რას გთავაზობდნენ?

- უნდა მელიარებინა, რომ არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირი მქონდა და 3 წელს საპროცესო გარიგებას გამიფორმებდნენ, მაგრამ კატეგორიული უარი ვთქვი. ამის შემდეგ საქმე სასამართლოს გადასცეს. ამ მუხლით ძალიან ბევრი ახალგაზრდაა დღეს გასამართლებული. განსაკუთრებით აზერბაიჯანელები, უმრავლესობას ცოლის შერთვის გამო პირობითი მსჯავრი დაადეს.

- როცა ცოლი შეირთეთ, არ იცოდით, რომ დასჯადი იყო 15 წლამდე ასაკის გოგონასთან ქორწინება?

- არანაირი ინფორმაცია არ გვქონდა მსგავსი კანონის არსებობაზე, თორემ რა პრობლემა იყო, რამდენიმე თვეში ნინო 16 წლის გახდებოდა და მერე ვიქორწინებდით. ჩვენს სოფელში და სხვა სოფლებშიც ბევრი ოჯახი ასეა შექმნილი.

როცა საქმე აღძრეს, ვიცოდი, იმ შემთხვევაში დავისჯებოდი, თუ გოგოს ოჯახი იქნებოდა წინააღმდეგი და ისე წამოვიყვანდი. ჩემი მეუღლის მშობლები დაგვთანხმდნენ, ამის დამადასტურებელია ჩვენი ქორწილის კასეტაც. მათ ჩვენებაც მისცეს პროკურატურასა და სასამართლოს, მაგრამ პროკურატურა ჩემს დასჯას ითხოვს. რატომ უნდა დამინგრიონ ოჯახი, იმიტომ, რომ ახალი კანონი შემოიღეს?

როცა ხელი მოვაწერეთ, არც მაშინ უთქვამს ვინმეს, რომ ეს დანაშაულია. ჩემი ორსული მეუღლე საავადმყოფოში აღრიცხვაზეც ხომ იყო, არც მაშინ უთქვამთ ექიმებს რამე. ახლა ოჯახი უნდა მივატოვო და ციხეში წავიდე? მთელი სოფელი ფეხზე დადგა. ნებისმიერი დაადასტურებს, რომ ძალადობა არ ყოფილა, წესიერი ოჯახი გვაქვს. სკოლაშიც ყველამ იცოდა, რომ ერთმანეთი გვიყვარდა. ადამიანი ყველაზე დიდ განათლებას სკოლაში იღებს და მასწავლებელმა მაინც უნდა განუმარტოს მოსწავლეს, რომ



კანონით აკრძალულია არასრულწლოვანთა ქორწინება. დარწმუნებული ვარ, თბილისის სკოლებშიც არ ეცოდინებათ, რომ ეს დასჯადია.

სანამ ამ კანონს მიიღებენ, მანამდე უნდა დაფიქრდნენ, რა პრობლემას უქმნიან უკვე შექმნილ ოჯახებს. ახლა რომ აცხადებენ, დასჯადიაო, გასაგებია. ამიერიდან ყველას ეცოდინება, მაგრამ ჩემს შემთხვევაში ფაქტი უკვე მომხდარია და ეს უკვე შექმნილ ოჯახებზე არ უნდა გავრცელდეს. ოჯახს გვინგრევენ. რატომ უნდა ვიყო ნასამართლევი? ამიტომ კატეგორიულ უარს ვამბობ საპროცესო გარიგებაზე. დანაშაულად მითვლიან ოჯახის შექმნას?

ნინო კოკაური, 16 წლის: - გიორგი ჩემი დის კლასელია. მას სკოლა დამთავრებული ჰქონდა. მე მეათე კლასში დავდიოდი. ჩემმა მშობლებმა იცოდნენ, ერთმანეთს რომ ვხვდებოდით. დედამ კი მითხრა, ჯერ პატარა ხარო, მაგრამ ჩვენს სიყვარულს წინ ვერ დაუდგა და ვიქორწინეთ. როცა ხელი მოვაწერეთ, იუსტიციის სახლშიც არავის უთქვამს, რომ ეს დანაშაული იყო. ვარიანში ბევრი 15 წლის გოგოა გათხოვილი. ერთი გოგო ვიცი, შვილს ელოდება და ისიც ვიცი, რომ პროკურატურა ჩასაფრებულია, როდის გააჩენს, რომ მის ქმარს ბრალი წაუყენოს. ეს არის სამართალი? იმაზე თუ ფიქრობენ, მე რა უნდა გავაკეთო მარტო შვილთან ერთად, თუ ჩემს ქმარს დაიჭერენ?

მაია ბერკაცაშვილი, გიორგის დედა:

„ეს მუხლი თუ არსებობდა, არ ვიცოდი. ქორწილი გადავიხადეთ, მოძღვარმა ჯვარი დასწერა. ეს ნებაყოფლობითი ქორწინება იყო. უკვე შექმნილ ოჯახს რომ ანგრევს მთავრობა, რას ფიქრობს? მარჩენალს ართმევს პატარას? ნინო მეძუძური დედაა და სულ ტირის. ხომ შეიძლება ამით ბავშვიც დააზარალონ და დედაც? დედისერთა იყო გიორგი, ჯარში წასვლა არ ეკუთვნოდა, მაგრამ მაინც წავიდა. ქართველი ვაჟკაცი გავზარდე, არაფერი დაუშავებია და ციხეში რატომ უნდა გამოკეტონ?"

როგორც გიორგის **ადვოკატი ვანო სამხარაძე ამბობს,** ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა. გორის პროკურატურაში კიდევ სამ ახალგაზრდაზეა საქმე აღძრული. – „სამწუხაროა, რომ სახელმწიფო ბრალდება არ უფიქრდება შედეგს, რაც გიორგი ნიბლაძის პატიმრობა შეიძლება მოჰყვეს. ოჯახი შეიქმნა ნებაყოფლობით, რასაც ადასტურებს ყველა მხარე. რა უფრო მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის, ამაზე უნდა დაფიქრდნენ როგორც პროკურორი, ასევე მოსამართლე. იმედია, მოსამართლე ყველა გარემოებას გაითვალისწინებს, გიორგის არ დააკავებს და მის პატარას უპატრონოდ არ დატოვებს", - აცხადებს ადვოკატი ვანო სამხარაძე.

ახალგაზრდა წყვილი ახლა სასამართლოს ვერდიქტის მოლოდინშია და იმედი აქვს, რომ სამართალი მათ მხარეს დადგება.

„14 წლის მოზარდის გაუხოვება დანაშაულია"

დეპუტატი თამარ კორძაია საკანონმდებლო ცვლილებას ემხრობა და კანონის გამკაცრების აუცილებლობაზე საუბრობს:

- სტატისტიკა ცხადყოფს, რომ სკოლას ბავშვები ნაადრევად ტოვებენ. არასრულწლოვნები ხშირად ქორწინდებიან და შემდეგ დიდია განქორწინების რიცხვიც. ასევე ხშირია იძულებითი გათხოვების ფაქტები. სახალხო დამცველის წინადადება იყო, რომ კანონი გამკაცრებულიყო. სახელმწიფომ აქტიურად უნდა დაიწყოს ნაადრევი ქორწინების წინააღმდეგ სავალდებულო ღონისძიებების გატარება. თუმცა მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე ამის აკრძალვა სრულყოფილ შედეგს ვერ მოიტანს, მაგრამ ეს არის განაცხადი იმისა, რომ სახელმწიფო არ დაუშვებს არასრულწლოვნის უფლებების შელახვას. საჭიროა საგანმანათლებლო სამუშაოს ჩატარებაც მოზარდებისთვის. ბავშვთა უფლებათა დაცვის კონვენცია არასრულწლოვანთა ქორწინებას კრძალავს. ბავშვად ითვლება 18 წლამდე ადამიანი და შესაბამისად, მას ოჯახთან ყოფნის უფლება უნდა ჰქონდეს.

- როგორც ვიცით, სასამართლოს თანხმობით დაქორწინება 17-18 წლის პირებს შეეძლებათ. გამონაკლისი რა შემთხვევაში დაიშვება?

- მხოლოდ 17 და 18 წლის პირებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ უკვე შვილი ჰყავთ, 2017 წლიდან კი 18 წლამდე ქორწინება საერთოდ აიკრძალება.

- დღეს ბევრ არასრულწლოვანს შვილი ჰყავს, ბევრიც ელოდება. მსგავსი ცვლილება ბავშვთა უფლებების დარღვევას ხომ არ გამოიწვევს?

- ბავშვის მიმართ არსებობს პირადი არაქონებრივი უფლებები. დაქორწინებული არიან თუ არა მშობლები, არა აქვს მნიშვნელობა, როგორც დედას აქვს უფლება, აღზარდოს შვილი, ასეთივე უფლებები აქვს მამასაც. ქორწინება არის მხოლოდ ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგება ქალსა და მამაკაცს შორის. შესაბამისად, ეს ბავშვთან არავითარ კავშირში არ არის. მხოლოდ ქონებრივი უფლებების რეგულირებისთვის 18 წლამდე ქორწინება და ოჯახის შექმნა სულაც არ არის საჭირო. თუ შვილი ეყოლებათ, ეს იმას ნიშნავს, რომ შვილის მიმართ პასუხისმგებლობა ორივეს ექნება. გარდა ამისა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ქორწინების რეგისტრაციასაც. თუ თვლის, რომ ეს მისი შვილია, ამას ქორწინების მოწმობა არ სჭირდება. არც გვარის და სახელის მიცემისას შეექმნებათ პრობლემა.

- გასაგებია, მაგრამ ეს ხომ არ გაზრდის საქართველოში არარეგისტრირებული ქორწინებების რიცხვს?

- დღეს მოქმედი კანონიც ვერ მოახერხებს ამის გაკონტროლებას. მთავარია, სახელმწიფომ აკრძალოს არასრულწლოვანთა ქორწინება, რადგან 18 წლამდე პირი არის ბავშვი და მისი ქორწინება არანორმალური მოვლენაა. სასამართლოს ვერ მიმართავენ დაქორწინების მოთხოვნით 16 წლამდე ასაკის ბავშვები. 16 წლამდე ასაკის ბავშვთან სქესობრივი კავშირი სისხლის სამართლის დანაშაული იყო, არის დღესაც და მომავალშიც იქნება.

ბოლო წლებში გახშირდა მოზარდების იძულებით გათხოვების ფაქტებიც. 16 წლის აზერბაიჯანელმა გოგონამ ამის გამო თავი მოიკლა. ადრეულ ასაკში ქორწინება ქალის რეპროდუქციულ ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

- ყველაზე ხშირად ადრეული ქორწინება ეროვნულ უმცირესობებშია მიღებული და ამას ტრადიციით ამართლებენ.

- ეს სტერეოტიპი უნდა დაიმსხვრეს. ამ ხალხთან სახელმწიფო ინსტიტუტებმა უნდა იმუშაონ. 14 წლის მოზარდის გათხოვება დანაშაულია. სქესობრივი კავშირი 15-წლამდე ასაკის პირთან დასჯადი სისხლის სამართლის დანაშაულია.

"ეჭვობენ, რომ ალიკას შემოაკვდა საწყალი ბიჭი და მამამ მკვლელობა დაიბრალა" – მამა დააკავეს, შვილმა თავი მოიკლა

(ფოტოზე: ბექა ჯველაური)

თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში ტრაგედია ტრიალებს. 10 ნოემბერს ამ სოფლის მაცხოვრებლებთან კონფლიქტისას თელაველი 25 წლის ბექა ჯველაური მოკლეს, მისი მეგობარი კი დაჭრეს. გამოძიების ინფორმაციით, მკვლელობაში ეჭვმიტანილები 1951 წელს დაბადებული გიორგი ნ. და მისი ვაჟი იყვნენ.

"გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი ნ-მ თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, დანის გამოყენებით მოკლა 1990 წელს დაბადებული ახალგაზრდა, ხოლო მისმა შვილმა - 1983 წელს დაბადებულმა ალექსი ნ-მ ასევე დანის გამოყენებით სხეულის დაზიანება მიაყენა 1988 წელს დაბადებულ პირს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა", - ვკითხულობთ ოფიციალურ ინფორმაციაში. შსს-ს ინფორმაციითვე, მკვლელობაში ეჭვმიტანილი მამა განზრახ მკვლელობის ბრალდებით თელავში დააკავეს, ხოლო მისი ვაჟი მომხდარიდან რამდენიმე საათში, ყვარლის რაიონის სოფელ შაქრიანის მიმდებარე ტერიტორიაზე, მწყემსმა ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვა. "პოლიციამ დანაშაულის ჩადენის ორივე იარაღი - დანები ნივთმტკიცებად ამოიღო", - აცხადებენ შსს-ში.

დაგვეთანხმებით, მომხდარი საშინელებათა ფილმის სიუჟეტს უფრო ჰგავს, ვიდრე ჩვენს რეალობაში მომხდარ უბედურებას.

სოფლის მოსახლეობა მომხდარზე გაოგნებული ლაპარაკობს; ჩვენი რესპონდენტი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, მომხდარი ტრაგედიის გარემოებებს გვიყვება:

- ჩვენს სოფელში 5000-მდე მოსახლეა, ამიტომაც შეიძლება რაიმე ისეც კი მოხდეს, რომ სოფლის ერთი ბოლოდან მეორეში ვერ გაიგონ, მაგრამ ამ მკვლელობამ გაგვანადგურა. ალიკას, რომელსაც ასეთი საშინელება გადახდა და თავი მოიკლა, მთელი სოფელი იცნობდა და ჩვენთვის დღემდე წარმოუდგენელია, როგორ უნდა აეღო დანა ხელში და მისივე თანატოლისთვის სასიკვდილოდ დაერტყა.

ის მრავალშვილიანი ოჯახიდან არის, მის მშობლებს 14 შვილი ჰყავთ, გაჭირვებულები არიან, მაგრამ შვილები უსაქმურები არასდროს ყოფილან, - თუ რაიმე სამუშაო გამოუჩნდებათ, ყველგან შრომობენ. სოფელში ყველა ეჭვობს, რომ სწორედ ალიკას შემოაკვდა ის საწყალი თელაველი ბიჭი და მამამ ეს მკვლელობა დაიბრალა. ალიკა წესიერი, პატიოსანი ბიჭი იყო, როცა გონს მოეგო და ნახა რაც ჩაიდინა, თავი მოიკლა, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი გამოძიებამ უნდა დაადგინოს, რთულია ისე რაიმეს მტკიცება.

ის თელაველი ბიჭი ძალიან მეცოდება, დაიღუპა ოჯახი. რაც არ უნდა იყოს, მკვლელს გამართლება არ აქვს... ამბობენ, რომ ბექა სპორტსმენი იყო, შესაბამისად ფიზიკურადაც ძლიერი, დასანანია, რომ ასე უბრალოდ გაიწირა... მაგისთანა ბიჭების სიკვდილი მარტო ოჯახსთვის კი არა, მთელი ქვეყნისთვისაც უბედურებაა. თანაც, როგორც გავიგეთ, მარტო ეგ ერთი ვაჟი ჰყოლია მის მშობლებს.

- ბექა როგორ აღმოჩნდა კურდღელაურში?

- დაზუსტებულად არავინ არაფერი იცის, მაგრამ როგორც ჩვენ გავიგეთ, თავის ამხანაგს, ჩხუბი ჩვენებურ ნინაშვილებთან მოსვლია და კურდღეულაურიდან დაურეკია ბექასთვის, - ჩამოდი, მეჩხუბებიანო. ალბათ ეგონა, რომ დანას არ ამოიღებდნენ, სპორტსმენს ხელით ჩხუბში ვერავინ მოერეოდა. ისიც დაჭრილია, ვინც ბექა საშველად გამოიძახა, მაგრამ გადარჩა...

- ჩხუბი რა მიზეზით მოხდა?

- ჩვენ როგორც ვიცით, ალიკა ნინაშვილს ტელეფონის ზარი ბექას ამხანაგთან შემთხვევით გაეშვა. იმან, - ვინ ხარ, ზარი შენ გამომიშვიო? ამან, - არაფერი არ გამომიშვიაო. იმან, - არა, შენ გამომიშვიო და ასე გინებ-გინებით მივიდა საქმე ჩხუბამდე. ამას შეეწირა ის კარგი ბიჭი. თანაც რანაირად, ის და მისი ამხანაგი გზაზე სისხლმდინარე დატოვეს შუაღამისას. ბექას ამხანაგსაც შემთხვევით გაუმართლა, რომ გადარჩა. იქ შემთხვევით გაიარა ვილაცამ და ბიჭები გზაზე დაინახა. ბექას ამხანაგს კი უშველეს, მაგრამ ბექას რა ეშველებოდა, ჭრილობა შიგ გულში ჰქონია... გაოგნებული ვარ, არ იყო ბექა მკვლელობისთვის გასამეტებელი კაცი. ამიტომაც ვერ გადაიტანა ეს ამბავი ალექსი ნ-მ, კურდღელაურიდან სოფელ შაქრიანში გადავიდა, ისეთ ადგილას, სადაც არავინ ცხოვრობს და იქ კაკლის ხეზე ნახეს ჩამომხვრჩალი..

რა შეღავათებს ითვალისწინებს მთის კანონი

(მესამე გვერდიდან)

საბჭოს შემადგენლობაში შედიან მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის საჯარო მოსამსახურეები, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები (მათივე თანხმობით).

საკითხს საბჭოს განსახილველად წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მიერ უფლებამოსილი პირი/პირები. წარდგენილ განცხადებას საბჭო იხილავს და შესაბამის რეკომენდაციას იღებს განცხადების რეგისტრაციიდან 2 თვის ვადაში.

რეკომენდაცია მიიღება საბჭოს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. რეკომენდაციები აისახება სხდომის ოქმში, რომელიც 10 დღის ვადაში ქვეყნდება მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის ვებგვერდზე ან შესაბამის ბეჭდვით ორგანოში, ან/და ცხადდება საჯაროდ (ანუ ღიად განთავსდება გამგეობის/მერიის შენობაში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე).

რეკომენდაციის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი იღებს გადაწყვეტილებას სტატუსის მინიჭების ან სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. ამასთან, იგი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს რეკომენდაცია და მიიღოს საწინააღმდეგო გადაწყვეტილება, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული.

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში, მაღალმთიან დასახლებაში ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრების მონიტორინგს ახორციელებს გამგებლის/მერის მიერ უფლებამოსილი პირი (საკუთარი ინიციატივით ან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე). მონიტორინგის ფარგლებში იგი უფლებამოსილია დაათვალიეროს საცხოვრებელი ადგილი, გადაამოწმოს შიდასამეურნეო საქმიანობის განხორციელების ფაქტი, მოითხოვოს გადასახდელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, გამოკითხოს მოწმეები და ა.შ. მონიტორინგის შედეგები წარედგინება ზემოაღნიშნულ საბჭოს, რომელიც საკითხის შესწავლისა და განხილვის შემდეგ რეკომენდაციით მიმართავს მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს სათანადო გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ამასთანავე, მუნიციპალიტეტს სასაზღვრო პოლიციიდან და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მიენოდება ინფორმაცია იმ პირთა შესახებ, რომლებმაც დატოვეს საქართველოს ტერიტორია კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში 3 თვით ან მეტი ვადით.

აღსანიშნავია, რომ უფლებამოსილი პირისა და საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაციები დამოუკიდებლად არ საჩივრდება. მათი გასაჩივრდება დასაშვებია მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან (ბრძანებასთან) ერთად.

გამგებლის/მერის ბრძანება კი საჩივრდება სასამართლოში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, მისი გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში.

გარდა ამისა, გამგებლის/მერის ბრძანების გაუქმება, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 135-ე მუხლის შესაბამისად, შესაძლებელია დარგობრივი ზედამხედველობის განხორციელების ფარგლებში - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, - მიზანშეუწონლობის მოტივით ანდა იმ შემთხვევაში, თუ ეს ბრძანება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის ნორმებს, არსებით და გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს ან იწვევს სახელმწიფო ქონებისა და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ და არამიზნობრივ გამოყენებას.

ხანძარს ქალი ემსხვერპლა

ქალაქ დედოფლისწყაროში, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში 10 დეკემბერს ღამით გაჩენილ ხანძარს მარტოხელა ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა. დასახმარებლად შესულ მეზობლებს 75 წლის მარიამ სიმონიძე უკვე გარდაცვლილი დახვდათ. მოხუცი ქალბატონი დედოფლისწყაროს სათნოების სახლის ბენეფიციარია.

უნარშეზღუდულ ქალს საკუთარი ოჯახი არ ჰქონია, ამიტომ ძმასთან ერთად, სატელევიზიო ანძის გორის ძირში ცხოვრობდა. ძმის გარდაცვალების შემდეგ კი ორი წელია მარტოდ დარჩა. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ამ ეტაპზე უცნობია, ხანძრის გამომწვევი მიზეზი შეშის ღუმელი გახდა, თუ მოძველებული ელექტროგაყვანილობა. გარდაცვლილის მეზობლები ამბობენ, რომ არ იციან, შეშით თბებოდა, თუ ელექტროღუმელით. ადგილზე გამოიძახეს სახანძრო-სამაშველო და სასწრაფო დახმარების ეკიპაჟები, თუმცა მოხუცის ცხედარი სტაციონარში აღარ გადაუყვანიათ.

სიმონიძის მეზობელი თამაზ ბიჩელაშვილი, რომელიც დამწვარი სახლის უკან ცხოვრობს, ამბობს, რომ იმ საღამოს ტელევიზორს უყურებდა და ხმაური მოესმა.

„ღამის თერთმეტის ნახევარი იქნებოდა დაახლოებით, როცა ყვირილი შემომესმა. ხმაურობდნენ ქალი იწვებაო, ხანძარიაო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ვერავინ ბედავდა შიგნით შესვლას... მე და ჩემი შვილი გამოვედით და ვნახე, რომ სახლი იწვოდა. შემდეგ შენობაში ფანჯრიდან შევედით... საწოლზე ვნახეთ, მაგრამ როცა გადმოვაბრუნეთ, უკვე გარდაცვლილი ჩანდა. გვერდით ოთახში, სხვა საწოლზე გადმოვანვინეთ. შემდეგ პოლიციაშიც დავრეკეთ, სასწრაფოც დროულად მოვიდა, არ დაუგვიანიათ. მაგრამ აღარ სუნთქავდა და სასწრაფომ არ წაიყვანა, ოქმში პირდაპირ დააფქსირეს, რომ გარდაცვლილი იყო. შემდეგ ქალაქში დენი გაათიშინეს, რომ სახანძროს ქრობა დაეწყო... თავისი ნათესავები არ ჰყავს, ძმის შვილიშვილები ცხოვრობენ ქვემოთ, სოფელ სამრეკლოში. ალბათ, ისინი უპატრონებენ მის დაკრძალვას. თვითონ სულ მარტო იყო, სათნოების სახლში დადიოდა, საკვებს იქიდან იმარაგებდა. როგორც ვვარაუდობთ, შესაძლოა, ჩაეძინა და ბოლში გაიგუდა,“ - აღნიშნავენ გარდაცვლილის მეზობლები.

როგრც შსს-ს პრესსამსახურის წარმომადგენელი ნანა ყაველაშვილი ამბობს, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დაკითხულია თვითმხილველებიც. მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გაუფრთხილებლობით, რამაც ადამიანის მოსპობა გამოიწვია.

ილია მარტყოფლიშვილი

მონატრება

ვანო ნაზარეთიანი

ჩვენო მოურჩენელო ტკივილო, შვილო ვანო. ორმოცი დღე გასულა უკვე იმ საზარელი დღიდან, როცა ბედისწერამ შენი თავი წაგვართვა... ჩვენთვის კი უსასრულოდ გაიწელა დრო, თითქოს გაჩერდა ... შენი ოჯახის წევრებისთვის, მშობლებისთვის საშინელებაა შენი სიკვდილი, იმის გაცნობიერება, რომ საღ-სალამათ შვილს სულ არაფრისთვის კარგავ, მაშინ, როცა მის ბედნიერებას ელი, მისი მომავალი შვილების გაზრდის მოლოდინით სულდგმულობ... და სულ რამდენიმე საათში ყველა ოცნება იმსხვრევა.

ჩვენო კეთილო, მშობლებისთვის და მეგობრებისთვის ერთნაირად თავგადაკლულო, შვილო, ამ უსაშველო გულისტკივილს ის გვინელებს, რომ მეგობრებმაც და ახლობლებმაც განიცადეს შენი დაკარგვა. თურმე როგორ ჰყვარებიხარ ყველას- ქ. პუშკინოში შენი გარდაცვალების გამო შენმა სამეგობრომ ორი დღე გლოვის დღედ გამოაცხადა, ასე მიაგეს პატივი შენს ხსოვნას...

ვანო, ძალიან ძნელია ჩვენთვის ამ წუთისოფელში გაძლება უშენოდ, მარტო ერთი რამ გვასულდგმულებს, იმისი იმედი, რომ შენი კეთილი სული სამოთხეში მოხვდება და ღმერთი გაანათლებს... ჩვენ კი შენი სულის ცხონებაზე აქედან ვიზრუნებთ და არ მოგაკლებთ სანთელ-საკმეველს.

მშობლები: საშკა, მარინა; **ძმა** ვალერი; მამიდეები, ბიცოლეები.

„რა ლამაზი ხარ, სიკვდილო, სიცოცხლე ფასობს შენითა“- ვაჟას ეს სიტყვები კარგად გამოხატავს იმ მდგომარეობას, რომელშიც ახლა ჩვენ, შენი ახლობლები ვიმყოფებით, ვანო, ჩვენო საოცრად კეთილო და უშურველო მეგობარო... შენმა სიკვდილმა სინანულის გრძნობა დაგვიტოვა-სიცოცხლეში რატომ უფრო მეტად არ გეფერებოდით, არ გამოვხატავდით იმ სიყვარულს, რომელსაც შენს მიმართ ვგრძნობდით... არავის გვეგონა, თუ ასე უბრალოდ შეიძლებოდა დაგვეკარგა საუკეთესო მეგობარი, ადამიანი, რომელსაც ჩვენთვის უყოყმანოდ შეეძლო ყველაფრის გაღება...

ორმოცი დღე სრულდება იმ დღიდან, რაც ამქვეყნიური სამყოფელი დატოვე და მარადიულ სამყაროში გადასახლდი. ყველასთვის თავზარდამცემი იყო შენი სიკვდილი... დღემდე გვიჭირს იმის გაცნობიერება, რომ ჩვენს შორის აღარ ხარ, ვერ წარმოგვიდგენია შენზე წარსულ დროში ლაპარაკი...

ამიერიდან შენს მარადიულ სამყოფელში დაემკვიდრები, თუმცა, ჩვენს შორისაც მარადიულად იარსებებს შენი ხსოვნა და სახელი. შევეცდებით, ჩვენი ახლოს ყოფნით შენიანებსაც როგორმე შევუმსუბუქოთ ეს ტრაგედია.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს შენს სულს!

სამეგობროს სახელით: ლადო ჭანკოშვილი, ვალერი გოგილაშვილი, ლევან ბენაშვილი, მამუკა ქისტაური, დიტო ზურაშვილი, გიო და დათო ნატროშვილები, თორნიკე და ირაკლი ლაპიაშვილები, თემო და ზურაბ ბოსტოლანაშვილები, თემო მოსემღვდლიშვილი, ლევან და გია იაკობიშვილები, ვანო ტოკლიკიშვილი, ნიკო ფიროსმანაშვილი, მიშიკო ნატროშვილი, მიშიკო თითილოკაშვილი

მხატვარი, რომელმაც ქართულ დამწერლობას ახალი სიცოცხლე აჩუქა

ქართული დამწერლობა, რომელიც ძვ. წ. III საუკუნეში იბერიის პირველმა მეფე ფარნავაზმა შექმნა, დღეს მსოფლიოში არსებული 14 დამწერლობათაგან ერთ-ერთი უძველესია. საუკუნეების მიუხედავად, ქართულმა კულტურამ არ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, ის ისევ ვითარდება, 21-ე საუკუნემდე ქართულმა ანბანმა უამრავი სახეცვლილება განიცადა და შედგება სამი ისტორიული სახისგან: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული, რომელიც დღეს გამოიყენება.

ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად ქართული ანბანის გამოყენებით შეიქმნა შრიფტები, სწორედ ამ საკითხზე ასოციაცია "ქართლი შრიფტის" ერთ-ერთ დამფუძნებელ ნინო ჯიშკარიანს დავუკავშირდით, რომელმაც ქართული შრიფტის გამოფენას უხელმძღვანელა.

- დღეს კომპიუტერიზაციამ ბევრი რამ გაამარტივა. ვიცით, რომ შრიფტი წიგნის ენაა, წიგნი კი ჩვენი კულტურის საფუძველი. ადრე ყურადღება ექცეოდა რა ტიპის წიგნი რა შრიფტით უნდა დაბეჭდილიყო: საბავშვო ლიტერატურა, სამეცნიერო, მხატვრული და ასე შემდეგ. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შრიფტის ადვილსაკითხაობას, ის თვალს არ უნდა ღლიდეს და ა.შ. ტექნოლოგიების განვითარებიამ კი, ვფიქრობ, ხელი უნდა შეუწყოს ხელნაწერების საფუძველზე ახალი, თანამედროვე, დახვეწილი პოლიგრაფიული შრიფტების შექმნას. ამ ყველაფერში მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და მონაწილეობა.

ეს ჩვენი წამოწყება დასაბამს მისცემს ჩვენი დიდი მემკვიდრეობის საფუძველზე ქართული შრიფტის განვითარების ახალ ეტაპს. ერთად მოვუაროთ ქართულ შრიფტს, რომელიც ასე განსაკუთრებულია...

ქართული შრიფტის განვითარებასა და ქართული კალიგრაფიის დახვეწილობაზე დღეს უკვე ახალგაზრდა მხატვრები ზრუნავენ. ჩვენ დავუკავშირდით ქართველ კალიგრაფს, რომელიც ადრეული ასაკიდან გამოირჩევა ხატვისა და ქართული ენის სიყვარულით, 12 წლის ასაკში მისი ნამუშევრები ლუვრის ექსპერტებმა შეაფასეს

მხატვრობა სასწაულია, მთელ სამყაროს იტევს და სრულ თავისუფლებას გაძლევს, სულის თავისუფლებას

და გიორგი სისაური ვირტუოზად აღიარეს. მხატვარმა კალიგრაფმა ქართულ დამწერლობას ახალი სიცოცხლე აჩუქა.

- პატარაობიდანვე მიზიდავდა გრაფიკული ნახატები. თავს მაშინ ვგრძნობ კარგად, როცა ვხატავ, მაშინ მთელს სამყაროს ვწყდები და დროსაც ვერ ვგრძნობ. 12 წლის რომ ვიყავი, ჩემი ნახატები საფრანგეთში ლუვრის ექსპერტებმა ნახეს და თავიდან არ იჯერებდნენ რომ ბავშვის შესრულებული იყო. დამიკავშირდნენ და თურმე ვირტუოზადაც მაღიარეს. საფრანგეთში მიმიწვიეს, მაგრამ ვერ მოვახერხე გამგზავრება.

- როგორ დაინტერესდით ქართული კალიგრაფიით?

- სანამ ხელოვნების ამ სფეროს მოვკიდებდი ხელს, მანამდე მხატვრობაში ვიყავი აქტიურად ჩართული. გარდა ამისა, 4 წიგნის ავტორი ვარ და მოკლედ რომ ვთქვა, ბევრი სხვადასხვა სახე ცხოვრობს ჩემში. ცოტა უცნაურად კი ჟღერს, მაგრამ ასე ვცხოვრობ 12 წლიდან. პრაქტიკულად უარი ვთქვი ბავშვობაზე და საკუთარი თავის გაზრდაზე ზრუნვა დავიწყე. და ახლაც ამ პროცესში ვარ. სასწაულია მხატვრობა, მთელ სამყაროს იტევს და სრულ თავისუფლებას გაძლევს, სულის თავისუფლებას. რეალურად მხატვრობის მიმართ არანორმალური სიყვარული გახდა განმაპირობებელი იმისა, რომ ხელოვნებათმცოდნეობის განხრით სწავლა გამეგრძელებინა. მე-9 კლასში პრეზიდენტის თანხმობით სამხატვრო აკადემიაში ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე ლექციებს ვესრებოდი.

- თქვენს ნამუშევრებში ხშირად ვხვდებით რელიგიურ თემას..

- მე ვქმნი ისეთ შრიფტს, როგორიც აქამდე არავის დაუხატავს. აბსოლუტურად ინდივიდუალური სტილია და ეს ემიჯნება კლასიკურ, ძველ კალიგრაფიულ შრიფტებს.

მეც ვმუშაობ კლასიკურ შრიფტზე, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ დავხატო ისე, როგორც აქამდე არ დაუხატავთ არა მარტო ჩვენთან საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნის კულტურაშიც. კალიგრაფები იყენებენ გადაშუშვის ხერხს, მე კი ვცდილობ შევქმნა თვითმყოფადი სტილი და ეს არ იქნება არცერთ სხვა ძველ სტილზე დაფუძნებული. რაც შეეხება სიმბოლოებს- სახედაო ასოებში სიმბოლოებს დეკორაციებში გამოვსახავ, ეს შეიძლება იყოს როგორც ქრისტიანული დატვირთვის, ასევე ოკულტური. ზოგიერთი მათგანი უკვე გადმომაქვს ხატსახეების სახით ფერში და ფორმაში.

ასოებთან ერთად ხშირად ვხატავ ანგელოზებს, ვმუშაობ ლოცვების და ტროპარების გადაწერაზე. ნახატებს ვასრულებ სხვადასხვა საღებავით და ვიყენებ ოქროს ფირფიტებს. თუმცა ხშირად ვიყენებ კალამს და მელანს, ეს მაშინ, როცა გრაფიკულ ნახატზე ვმუშაობ. წელს პირველად მოხდა, როცა ქართული კალიგრაფიული ნამუშევრები საზღვარგარეთ გაიცნო საზოგადოებამ. ეგვიპტეში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით გამოფენა მოეწყო, რომელიც ქართული კულტურის უცხოელებისთვის გაცნობას ისახავდა მიზნად.

ხანძრის მიზეზი ცნობილია

ზემო მაჩხაანის სკოლის დაწვის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე დაიხურა. შინაგან საქმეთა სამინისტროში ამბობენ, რომ გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო შეწყდა.

შსს-ს პრესსამსახურის წარმომადგენლის ნანა ყაველაშვილის განმარტებით, დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველო გამოძიებას სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის მეორე ნაწილით აწარმოებდა, რაც გულისხმობს ნივთის დაზიანებას ან განადგურებას, ჩადენილს ცეცხლთან გაუფრთხილებლობით.

„ექსპერტიზის დასკვნით დგინდება, რომ სკოლის ძირითად ფლიგელში ხანძრის გამომწვევი მიზეზი იყო ელექტროგაყვანილობა და ე.წ. მოკლე ჩართვა. ამდენად, კონკრეტულ პირთა დანაშაულებრივი ქმედებები არ გამოკვეთილა, რის გამოც საქმე დაიხურა," - აღნიშნავს ნანა ყაველაშვილი.

სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული სახანძროტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა შსს-ს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოს, განათლების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სამმართველოს და თავად მაჩხაანის საჯარო სკოლას გადაეგზავნა. თუმცა, როგორც სკოლის დირექტორი მაია ხუნაშვილი ამბობს, სკოლამ მხოლოდ დასკვნის ნაწილი მიიღო და მათთვის სრული დასკვნის გაცნობის საშუალება გამოძიებას არ მიუცია. ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლაში ხანძრის გამომწვევი მიზეზების შესახებ ოფიციალურ დასკვნაში ნათქვამია, რომ ხანძრის კერა ფიქსირდება შენობის მეორე სართულზე მდებარე ქიმიის კაბინეტის შესასვლელი კარის ზემოთ მდებარე ელექტროსადენებში.

„ორი წლის წინ, ინტერნეტის დამონტაჟების დროსაც არასწორი გაყვანილობები ყოფილა. მაშინვე უთქვამთ, ბომბზე ზის სკოლა, ისეთი არეული ელექტროგაყვანილობაა. აღმოჩნდა, რომ სპილენძის სადენები ალუმინის სადენებზეა მიერთებული, რაც დაუშვებელია. მე რამდენიმე თვის დანიშნული ვარ ამ თანამდებობაზე და ეს სიტუაცია დამხვდა. კედლებიც ძალიან ძველი იყო, საკმაოდ დიდი ხნის შენობაა, ხის კედლებით და, სავარაუდოდ, ამან გამოიწვია ხანძრის კერის გაჩენა. მართალია, კახეთის ენერგოდისტრიბუცია ამბობს, რომ მთელი ღამის განმავლობაში ელექტროენერგია სოფელს არ მიეწოდებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, კერა მანამდე გაჩნდა, ვიდრე დენს გათიშავდნენ და მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდა. ის დარაჯი, რომელიც ხანძრის ღამეს შენობაში იმყოფებოდა და მისი დაცვა ევალებოდა, კვლავაც აგრძელებს ჩვენს სკოლაში მუშაობას. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, არც დარაჯის პასუხისმგებლობის საკითხი არ იკვეთება, ამდენად, ჯერჯერობით, ის კვლავაც აგრძელებს ჩვენთან მუშაობას," - აღნიშნავს სკოლის დირექტორი, მაია ხუნაშვილი.

ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის ძირითად შენობაში ხანძარი 4 ოქტომბერს გამთენიის 5 საათზე შენიშნეს. სკოლა მთლიანად განადგურდა, რის გამოც მოსწავლეებს ექსტრემალურ პირობებში უხდებოდათ განათლების მიღება. სავარაუდოდ, სკოლის დამწვარი შენობის აღდგენა ვეღარ მოხერხდება, რის გამოც შესაძლოა, სოფელში ახალი სკოლა აშენდეს.

ილია მარტყოფლიშვილი

იყიდება!

იყიდება ორი ჰექტარი სახნავი მიწის ფათობი თავწყაროში. შესაძლებელია თითო ჰექტრის ცალ-ცალკე გაყიდვაც. ფასი შეთანხმებით.

577 74 97 00, იკითხეთ ავთო.

სასწრაფოდ იყიდება კერძო, აგურის, კეთილმონყობილი გარემონტებული ბინა სარდაფებით. ფართი 121 კვ.მეტრი. დამატებითი ფართი კარ-მიდამოსი 30 კვ. მეტრი. მიწის ნაკვეთი 8-9 სახეობის ხილის ბაღით. მისამართი: ჰერეთის (ყოფილი სტალინის) ქუჩა N 97.ფასი 16000$.

592 78 34 56. იკითხეთ იზოლდი.

იყიდება ფერმა პირველ ბალკაზე ელიასთან. ფასი შეთანხმებით.

571 20 86 02

ამინდი

	ორშაბათი 14.12		სამშაბათი 15.12		ოთხშაბათი 16.12		ხუთშაბათი 17.12		პარასკევი 18.12		შაბათი 19.12		კვირა 20.12	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	0 °	-1 °	2 °	0 °	-1 °	-2 °	0 °	-2 °	-1 °	-2 °	-1 °	-2 °	1 °	0 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.